

ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ
მთავრობის მინისტრის აპარატი

ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური
რესპუბლიკის მინისტრის აპარატი



2015 წლის მეორე კვარტალის ანგარიში

თბილისი, 2015 წელი

ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მთავრობის მინისტრის აპარატი

ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის მინისტრის ა/რ აპარატის მიერ განხორციელებული სამუშაოების შეფასების მთავარი კრიტერიუმია ნდობის აღდგენისა და შერიგების (სფეროში) ინოვაციური მიდგომების შემუშავება, აფხაზეთის გახლეჩილი საზოგადოების წევრებს შორის ნდობის აღდგენისა და შერიგების პროცესის ხელშეწყობა, გაყოფილ ტერიტორიებზე მცხოვრებ, საერთო ინტერესების მქონე ჯგუფებს შორის ურთიერთობების ხელშეწყობა, საინფორმაციო ტექნოლოგიების და სხვა ტიპის ელექტრონული კომუნიკაციების მეშვეობით ურთიერთობის, დიალოგისა და ნდობის აღდგენის ხელშეწყობა გამყოფი ხაზებით დაშორიშორებულ საზოგადოებას შორის.

განსაკუთრებით ამ პროცესებში ახალგაზრდების ჩართულობა და საერთაშორისო და ადგილობრივი ინტიტუციების დახმარებით, მათი დამეგობრებისათვის ხელშეწყობა. ინოვაციურ პროექტებში სახალხო დიპლომატიის როლის გაძლიერება, კულტურული მემკვიდრეობის, განათლების, ჯანდაცვის, ეკონომიკის, სპორტის და სხვა სფეროში არსებული და ახალი შესაძლებლობის გამოყენება.

აქედან მიმდინარე, მიმდინარე წლის მეორე კვარტალში ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატის საქმიანობა მიმდინარეობდა დებულებით გათვალისწინებული პრიორიტეტებისა და სამუშაო გეგმის შესაბამისად.

რა გაკეთდა?

ურთიერთობა საქართველოს ფედერალურ უწყებებთან და ჩართულობა

2015 წლის გამოწვევების განხორციელებაში

საანგარიშო პერიოდში ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატმა დაამყარა კავშირები იმ უწყებებთან, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომელებიც მინისტრის აპარატის ძირითადი დებულებებიდან გამომდინარე, პირდაპირ კავშირშია აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატის საქმიანობასთან.

ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მთავრობის მინისტრის აპარატი

კერძოდ,

კერძოდ,

- საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო აქტიურად იყო ჩართული გამოფენის „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა-აფხაზეთი“ მოსამზადებელი სამუშაოების შესრულებაში, რომელიც ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატისა და აფხაზეთის ა/რ მთავრობის ორგანიზებითა და რომულდო დელ ბიანკოს ფონდის მხარდაჭერით გაიმართება ფლორენციაში, მიმდინარე წლის ოქტომბრის თვეში.

(პროექტის შესახებ იხ. მიმდინარე პროექტების ჩამონათვალი)

- ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატი აქტიურად თანამშრომლობს დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატთან. აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატმა მონაწილეობა მიიღო დიასპორული დღისადმი (27 მაისი, 2015) მიძღვნილ ღონისძიებაში, კერძოდ, პირველ დიასპორულ ფორუმში „გაუზიარე გამოცდილება სამშობლოს“.

აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატი (მინისტრი დავით გვამაბია), ასევე მონაწილეობს დიასპორებთან ურთიერთობის სამთავრობო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებელი უწყებათაშორისი საბჭოს საქმიანობაში სხვა სახელმწიფო უწყებებთან ერთად.

- ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატი აფხაზეთის ა/რ და აჭარის ა/რ ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობას იღებდა „აფხაზეთობის“ დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში, რომლებიც განხორციელდა ბათუმში, 2015 წლის 26-27 მაისს

ამასთანავე, ბათუმში შედგა შეხვედრები არასამთავრობო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, რომლებიც მუშაობენ ქართულ-აფხაზური კუთხით და ამ მიმართულებით დაიგეგმა ერთობლივი პროექტების განხორციელება.

- ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატის თანამშრომლები მონაწილეობას იღებდნენ ქუთაისში, აფხაზეთის ა/რ მთავრობის სსიპ „ბიზნეს ინკუბატორის“ დაქვემდებარებაში არსებული შენობებისა და ტერიტორიების კეთილმოწყობაში.

- აფხაზეთის ტელევიზიით, სატელევიზიო გადაცემა „ობიექტივისა“ და საპარტიარქოს ტელევიზიით „ერთსულოვნება“ პერიოდულად შუქდებოდა ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატის მიერ მომზადებული საკითხები შემდეგ თემებზე:

ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მთავრობის მინისტრის აპარატი

- მუჰაჯირობა
 - კომანის ტრაგედია
 - ქართულ-აფხაზური ურთიერთობები
 - ნდობის აღდგენისა და შერიგების გზები
- მინისტრის აპარატი აქტიურად უჭერდა მხარს და უშუალოდ იყო ჩართული აფხაზი მოზარდების ტექნიკური საკითხებით უზრუნველყოფასა და ჯანმრთელობის ხელშეწყობი მიმართულებით მიმდინარე აქტივობებში. შესაბამისად, პარალელურად მიმდინარეობდა მოლაპარაკებები სოხუმთან.
- „აფხაზეთობის“ დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებისათვის მინისტრის აპარატმა უზრუნველყო თემატური თვალსაჩინო მასალების (სტენდების) დამზადება.

საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო სექტორთან ურთიერთობა

საანგარიშო პერიოდში ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატმა დაამყარა კავშირები საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ასოციაციებთან და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომელნიც ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატის დებულებით განსაზღვრული ამოცანების განხორციელებას უწყობს ხელს. კერძოდ:

- პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო
- პოლონური არასამთავრობო ორგანიზაცია - ედუკატორი (პოლონეთი, ვარშავა)
- დელ ბიანკოს ფონდი (იტალია. ქალაქი ფლორენცია) ფლორენცია
- იტალიური ორგანიზაცია „ლიბელულა“ (იტალია ქალაქი - პალერმო)
- იტალიური ორგანიზაცია „პრომეთეო“ (იტალია, ქალაქი - პალერმო)
- არასამთავრობო ორგანიზაცია „მშვიდობა და განათლება“
- დიტრიხ ბოილის ფონდი
- საქართველოს საერთაშორისო სავაჭრო პალატა
- ებერტის ფონდი
- საერთაშორისო ასოციაცია „კივიტას გეორგიკა“
- კონფლიქტების და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრი“
- კავკასიური სახლი
- ცხუმ აფხაზეთის აკადემია
- ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი

ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მთავრობის მინისტრის აპარატი

- კავკასიის ახალგაზრდული ალიანსი
- კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრი
- ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული პოლიტიკური კონფლიქტებისა და მშვიდობის საერთაშორისო ინსტიტუტი
- საქართველოს კრიზისის საკითხებში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლობა
- სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის რეგიონალური ოფისი
- გაეროს ფონდები (UNICEF, UN Women, UNDP)
- გაეროს სპეციალური საკონსულტაციო სტატუსის მქონე საერთაშორისო ორგანიზაცია - „მსოფლიო მშვიდობის ფედერაცია“
- კონრად ადენაუერის ფონდი
- ბერგოფის ფონდი
- უკრაინის საელჩო საქართველოში
- აზერბაიჯანის საელჩო საქართველოში
- დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საელჩო საქართველოში
- ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში
- მირზა ფათალი ახუნდოვის აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმი, საქართველოს აზერბაიჯანული კულტურის ცენტრი

სამშვიდობო ინიციატივათა პროგრამა

განხორციელებული პროექტების ჩამონათვალი

ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატის სტრატეგიის ნაწილია სამშვიდობო ინიციატივათა პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ქართულ და აფხაზურ საზოგადოებას შორის ნდობის აღდგენის ხელშეწყობას, ტოლერანტობის უნარ ჩვევების განვითარებას, ადამიანის უფლებათა პატივისცემას, წიგნიერების დონის ამაღლებას, წიგნიერების სტრატეგიების

ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მთავრობის მინისტრის აპარატი

დაუფლებასა და დანერგვას პრაქტიკაში სამშვიდობო განათლებით, ქართველი და აფხაზი საზოგადოების საგანმანათლებლო შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობას ნდობის აღდგენისა და შერიგებისათვის.

რა კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგა ამ მიმართულებით საანგარიშო პერიოდში?

აფხაზეთის დღისადმი მიძღვნილი ფოტო - გამოფენა „მუჰაჯირობა“

საანგარიშო პერიოდში ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატის სამშვიდობო ინიციატივათა პროგრამის ფარგლებში საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში „მუჰაჯირობის“ დღისადმი მიძღვნილი ფოტო-გამოფენა მოეწყო. მინისტრის აპარატთან ერთად აღნიშნული ღონისძიების ორგანიზებაში ჩართული იყვნენ შემდეგი ორგანიზაციები: აფხაზეთის ა/რ მთავრობა, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო, ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პოლიტიკური კონფლიქტებისა და მშვიდობის ინსტიტუტი და ასოციაცია „მშვიდობა და განათლება“.ღონისძიება აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვახტანგ ყოლბაია უძღვებოდა.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო:

- უნიკალური ფოტო-მასალა, სადაც ასახულია ის მოვლენები, რომელიც დიდი ტკივილის მომტანი იყო აფხაზებისა და ქართველებისთვის;
- გაიმართა ქართულ-აფხაზური ფოლკლორული საღამო;
- აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საზოგადოების წინაშე სიტყვით გამოვიდნენ: აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრი დიმიტრი ჯაიანი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ჯონი აფაქიძე, ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელი ოთარ ჟორდანიას, პროფესორი, ისტორიკოსი ბეჟან ხორავა, ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის მოადგილე მანანა ანუა

ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მთავრობის მინისტრის აპარატი

პროექტი - „მუჰაჯირობის უკვდავსაყოფი მემორიალური დაფა (მემორიალური ქვა)“

აფხაზი და ქართველი ხალხის მიერ მუჰაჯირობის ხსოვნის უკვდავსაყოფად ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატის მიერ შემუშავებულ იქნა პროექტი - „მუჰაჯირობის უკვდავსაყოფი მემორიალური დაფის (მემორიალური ქვის)“ დადგმა ქ. ბათუმის სანაპიროზე.

ეს იქნება ქართველი ხალხის მხრიდან კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი ამ ორ ძმურ ხალხს შორის ერთობის, ნდობის აღდგენისა და შერიგების მიმართულებით.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ღონისძიებები:

- ქ.ბათუმში სანაპიროზე მემორიალური ქვის(მომავალში ამ ქვის ადგილას მემორიალი აღიმართება) საზეიმო ვითარებაში გახსნა;
- საქართველოს, აფხაზეთისა და აჭარის მთავრობის წარმომადგენლების მიერ მემორიალის ქვის გვირგვინით შემკობა;
- აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობების წარმომადგენლების, აჭარაში მოქმედი პოლიტიკური მოძრაობებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელების, აჭარაში მცხოვრები აფხაზების, მუჰაჯირების შთამომავლების სიტყვით გამოსვლა;
- 21 მაისი მუჰაჯირობის ხსოვნის დღედ გამოცხადება;
- ღონისძიების დასასრულს კატარღებიდან ზღვაში ანთებული სანთლებით შემკობილი გვირგვინების ჩაშვების ცერემონიალის ჩატარება.

პროექტის შესრულება იგეგმება მომავალ წელს შემდეგ ორგანიზაციებთან ერთად:

- აფხაზეთის ა/რ მთავრობა

ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მთავრობის მინისტრის აპარატი

- აჭარის ა/რ მთავრობა
- ბათუმის მერია
- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- აჭარაში მოქმედი საზოგადოებრივი და არასამთავრობო ორგანიზაციები: „მმოზა“, „სოროპტიმისტ ინტერნაციონალი“, „აჭარელი აფხაზი ქალების ორგანიზაცია“

მიმდინარე პროექტების ჩამონათვალი

1. პროექტი - „ნდობის აღდგენისა და შერიგების შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო მექანიზმები“

2015 წლის აპრილის თვეში ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატის ინიციატივითა და ორგანიზებით უნდა გამართულიყო მრგვალი მაგიდა - „ნდობის აღდგენისა და შერიგების შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო მექანიზმები“.

აღნიშნული პროექტი პრაქტიკულად ორგანიზაციული თვალსაზრისით მომზადებულია, განხორციელდება ივლისის თვეში, ვინაიდან პროექტში ჩართული რამდენიმე პიროვნება ვერ ახერხებდა აპრილის თვეში ჩართულობას.

ნდობის აღდგენისა და შერიგების სამშვიდობო ინიციატივითა პროგრამის ფარგლებში მე-3 კვარტალში (ივლისში) ჩასატარებელი ღონისძიებისათვის - „ნდობის აღდგენისა და შერიგების შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო მექანიზმები“, ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატმა აფხაზეთის ა/რ მთავრობას, ცხუმ - აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიასა და ასოციაცია „მშვიდობა და განათლება“ ერთად განახორციელა შემდეგი სამუშაოები:

ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მთავრობის მინისტრის აპარატი

- ნდობის აღდგენისა და შერიგების შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო მექანიზმების კონცეფციის შემუშავება;
- მოწვეული სტუმრების, მომხსენებლების(სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების, დიპლომატიური კორპუსისა და აკადემიური წრის წარმომადგენლების) განსაზღვრა და კოორდინირება;
- მომავალი პოლიტიკური კარიერის მქონე წარმატებული ახალგაზრდების შერჩევა და კოორდინირება;
- ყველა საორგანიზაციო საკითხის მოგვარება (საკონფერენციო დარბაზი, სინქრონული თარგმანი, მოსაწვევეები, ბანერები);
- დღის წესრიგის შემუშავება;

პროექტი ითვალისწინებს:

- ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის ეფექტურობის ანალიზს;
- ნდობის აღდგენისა და შერიგების პროცესში საერთაშორისო დონეზე აპრობირებული მიდგომებისა და ინსტრუმენტების გაცნობასა და გამოყენების შესაძლებლობის განსაზღვრას;
- სახელმწიფო ინსტიტუტების, სამოქალაქო საზოგადოების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ახალგაზრდა ლიდერების ძალისხმევით შესწავლილ და გაანალიზებულ იქნეს ნდობის აღდგენისა და შერიგების შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო მექანიზმები.

ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მთავრობის მინისტრის აპარატი

- ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატისა და ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული პოლიტიკური კონფლიქტებისა და მშვიდობის საერთაშორისო ინსტიტუტის ერთობლივი პროექტის „ახალგაზრდული სასწავლო ცენტრი“ პრეზენტაციას.

წარმოდგენილი პროექტის მრგვალი მაგიდის შეხვედრაზე განხილულ იქნება შემდეგი საკითხები:

- აფხაზეთის მთავრობის როლი და შესაძლებლობები კონფლიქტის მოგვარების პროცესში;
- კონფლიქტის მოგვარების საერთაშორისო მექანიზმები (ჟენევის ფორმატი)
- ნდობის აღდგენის პროცესში აკადემიური საზოგადოების როლი და შესაძლებლობები;
- დიასპორების როლი ნდობის აღდგენისა და შერიგებისათვის;
- არასამთავრობო სექტორის ინიციატივები და შესაძლებლობები;
- ახალგაზრდული ინიციატივების როლი და შესაძლებლობები.

აღნიშნულ ღონისძიებაზე მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს და აფხაზეთის ა/რ სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელები, აკადემიური და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები. ღონისძიების მეთოდოლოგია ითვალისწინებს პანელური დისკუსიის ელემენტებს. მონაწილენი იქნებიან ასევე აფხაზეთიდან დევნილი ახალგაზრდები, რომელნიც დიპლომატიის კუთხით აგრძელებენ კარიერას და მოიაზრებიან როგორც სამშვიდობო რესურსები ნდობის აღდგენისა და შერიგებისათვის.

მრგვალი მაგიდის ფარგლებში შემუშავებულ იქნება სამშვიდობო ინიციატივების პაკეტი ჩართულობის სამოქმედო გეგმის შესაბამისად, რათა შემდგომში მას გაეწიოს ლობირება სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან მიმართებაში.

**2. პროექტი - საერთაშორისო სტუდენტური ინტერდისციპლინარული
ვორქშოფი „კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული და ევროპული
ასპექტები“**

(ფლორენცია, 4-11 ოქტომბერი, 2015)

რომუალო დელ ბიანკოს ფონდის მხაზრდაჭერით 4-11 ოქტომბერს ფლორენციაში ჩატარდება საერთაშორისო სტუდენტური ინტერდისციპლინარული ვორქშოფი, რომელსაც ხელმძღვანელობს და ორგანიზებას უწევს ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატი სხვა სახელმწიფო, სასწავლო და არასამთვრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით.

მიმდინარეობს შემდეგი მოსამზადებელი სამუშაოები:

- აღნიშნულ პროექტში პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობა და კოორდინირებული მუშაობა. ეს ქვეყნებია: იტალია, აზერბაიჯანი, სომხეთი, სერბეთი, უკრაინა;
- რომუალო დელ ბიანკოს ფონდის გენერალურ მდივანთან და ფონდის საორგანიზაციო საკითხების სამსახურთან აქტიური თანამშრომლობა;
- ლოჯისტიკურ და სავიზო საკითხებზე შესაბამის დაწესებულებებთან მოლაპარაკება და კოორდინირება;
- მიმდინარეობს თანხების მოძიება (უკვე მოძიებულია პროექტის ბიუჯეტის 60%)
- პროფესორებისა და სტუდენტების შერჩევა;

ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მთავრობის მინისტრის აპარატი

- ჯგუფების დაკომპლექტება და ფორქშოფის თემატიკასთან დაკავშირებულ კონკრეტულ საკითხზე მუშაობა;
- პრეზენტაციის მომზადება 4-5 სტუდენტით დაკომპლექტებული ჯგუფის მიერ (აღნიშნულ ჯგუფებში იქნებიან: ქართველი, აფხაზი, აზერბაიჯანელი, სომეხი, უკრაინელი, სერბი სტუდენტები).

სტუდენტები მოხსენებას/მოხსენებებს გააკეთებენ მათ მიერ არჩეულ ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებზე:

- რელიგიის, კულტურისა და ეთნოსების საკითხები თანამედროვე პოლიტიკურ სივრცეში, ევროპასა და კავკასიაში;
- კონფლიქტების ასახვა ხელოვნებასა და ლიტერატურაში;
- დემოკრატიული ტრანსფორმაცია და ევროპული იდენტობა;
- კავკასიის ქვეყნების იმიჯი ევროპულ საზოგადოებაში და პოლიტიკურ ელიტაში;
- კონფლიქტები ამიერკავკასიაში და მათი დარეგულირების პერსპექტივები;

პროექტის მიზანია:

- კონფლიქტის მხარეების ახალგაზრდების ერთმანეთთან დაახლოება;
- საერთო წარსულის, აწმყოსა და მომავლის გაანალიზება;
- საერთაშორისო პროექტებში ახალგაზრდების აქტიურად ჩართულობის ხელშეწყობა;
- კულტურული ცნობიერების ამაღლება და საკუთარი ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია;
- სხვა ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის გაზიარება;

ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მთავრობის მინისტრის აპარატი

- კონფლიქტის შედეგად გახლეჩილი საზოგადოების ახალგაზრდებში ნდობის აღდგენისა და შერიგების ხელშეწყობის მიზნით საერთო პლატფორმის შემუშავება კულტურული მემკვიდრეობის ჭრილში, აღნიშნული საკითხებით დაინტერესებული ახალგაზრდების ჩართულობით.

3. „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა - აფხაზეთი“

(ფლორენცია, იტალია, 4-11 ოქტომბერი 2015 წ.)

მიმდინარე წლის 4-11 ოქტომბერს სტუდენტური ვორქშოფის პარალელურად ფლორენციაში მოეწეობა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გამოფენა. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობით აღნიშნულ ღონისძიებასთან დაკავშირებით უკვე შესრულებულია შემდეგი სამუშაოები:

1. გამოფენა

ღონისძიების ფარგლებში ფამოფენილი იქნება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და მათი გავრცელების არეალის (რუკები) ამსახველი ნაბეჭდი ბანერები (20ც) და წიგნები „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა - აფხაზეთი“, „მოქვის სახარება“ და ფოტოალბომი "აფხაზეთი XIX საუკუნე".

საგამოფენო ვიტრინებზე განთავსდება:

- ❖ ბრინჯაოს ხანის მეგალითური სამარხი ნაგებობის (დოლმენი) მაკეტი;
- ❖ კოლხური ცულის ასლი;

ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მთავრობის მინისტრის აპარატი

- ❖ ბედიის ბარძიმის შემცირებული ასლი - მე-10 ს.~;
- ❖ ძაღლის ფიგურა ბიჭვინთიდან - მე-7- 6 სს. ჩვ. წ. აღ. (ასლი);
- ❖ დათვის ფიგურა აზანთიდან - მე-3- 4 სს. (ასლი);
- ❖ საყურე წითელი შუქურიდან - მე-8 ს. ჩვ. წ. აღ. (ასლი);
- ❖ გულსაკიდი წითელი შუქურიდან - მე-8 ს. ჩვ. წ. აღ. (ასლი).

2. მოხსენება - პრეზენტაცია

- მოხსენება (პრეზენტაცია) თემაზე: „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა - აფხაზეთი“;
- მომხსენებლის მარჯვნივ და მარცხნივ, მოლბერტებზე, განთავსდება აფხაზეთში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და მათი დღევანდელი მდგომარეობის ამსახველი ნაბეჭდი ბანერები (10ც.).

3. ექსპოზიცია

- მოხსენების დასასრულს დაგეგმილია ქართულ-აფხაზური ტრადიციული სამზარეულო-ს ექსპოზიცია.

4. ვებ-პორტალი

მემორანდუმის ფარგლებში, რომუალდო დელ ბიანკოს ფონდი საშუალებას გვაძლევს, მსოფლიოს მამტაბით საქართველოს-აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის, ცნობადობის გაზრდისა და ეკონომიკური კეთილდღეობის ამაღლების მიზნით, გამოყენებულ იქნეს ხსენებული ფონდის ვებ-პორტალი www.lifebeyondtourism.org, რომელსაც მიეზმება აფხაზეთის/საქართველოს ეროვნული პორტალი.

ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მთავრობის მინისტრის აპარატი

ზემოაღნიშნულ პორტალზე აიტვირთება აფხაზეთთან დაკავშირებული საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი და მოძრავი ძეგლების შესახებ არსებული სრული ინფორმაცია.

მომხმარებელს საიტზე განთავსებულ მასალებზე წვდომის შესაძლებლობა ქართული და აფხაზური ენების გარდა მინიმუმ სამ უცხო ენაზე მიეცემა: რუსული, ინგლისური და ესპანური.

აღნიშნული პორტალის წარმატებული ფუნქციონირებისათვის მიმდინარეობს მუშაობა შემდეგ საკითხებზე:

- ✚ იმ მუზეუმების სიის ჩამოყალიბება სადაც ინახება ექსპონატები აფხაზეთიდან;
- ✚ ხსენებულ მუზეუმებში დაცული ექსპონატების ჩამონათვალის მომზადება;
- ✚ ქ.თბილისში, აფხაზეთის განათლების სამინისტროს საგამოფენო დარბაზის ან ხვა საგამოფენო სივრცის მომზადება, აფხაზეთის/საქართველო თანამედროვე ხელოვნებისა და კულტურის ნიმუშების მუდმივმოქმედი ექსპოზიციის განსათავსებლად.

5. ტურ-ოპერატორი

პროექტის წარმატებით რეალიზების მიზნით შესაბამისი კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და პოპულარიზაციის მიმართულებით მომუშავე თანამშრომლებს მიეცემათ ტრენინგების გავლის საშუალება, რასაც უზრუნველყოფს რომუალდო დელ ბიანკოს ფონდი ფლორენციაში.

4. აფხაზეთიდან დევნილი თემის მხარდაჭერის პროგრამა

ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატის მხარდაჭერითა და კოორდინირებით პარტნიორი ამერიკული ორგანიზაციის „ჯორჯია ქონექშნ“ მიერ განხორციელდა დევნილთა მე-2 საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მთავრობის მინისტრის აპარატი

ასევე აღნიშნული ორგანიზაციის აკადემიური წრის წარმომადგენლებმა მასტერკლასები ჩაუტარეს აღნიშნული სკოლის მოსწავლეებსა და მასწავლებლებს.